წლიწადი 1-ლი

ტელეფონი № 76.

შაბათი 13 მაისი 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
წლი-რად. . . 15 მან.
ნახევარი წლით . . 8 მან.
თვიურათ . 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი შვიდი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე სტრიქონი ღირს . . . 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე . . 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს უფრო ორჯერ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეჯერ არა უმეტეს სამ გამოცხადებისა, ნაშუადღევის 2 საათ. 5 მ.
2 საათის შემდეგ . 6 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ.ს. მიქელაძის ს.

№ 27 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — № 27

ქუთაისის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო
საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა საზოგადო კრების გაგრძელება.
დანიშნულია ამა მაისის 14 დღეს, დილით 10 საათზე, სადგილ-მამულო ბანკის დარბაზში.
გამგეობისა, საბჭოსა და სარევიზიო კომისიის წევრთა ასარჩევათ.
კრების თავმჯდომარე ი. ფანცხავა.

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი
ხუთშაბათიდან, 11 მაისიდან ფრიად საყურადღებო პროგრამა
ექიმ მორელის საქმე
პსიქოლოგიური დრამა 5 ნაწ. კარენ ბრამსონისა ხუდოლეევისა და ვჰეხნერის მონაწ.
1. მოულოდნელი და საიდუმლო სიკვდილი 2. ცხოვრებამ ჩაითრია! 3. სიყვარულის უცნობი ძალა. 4. ტანჯული გული. 5. თუ ცხოვრება გულს ემის, სიკვდილი უნდობელია.
ყურადღება! ამ დღეებში გაიხსნება თეატრის საზაფხულო განყოფილება!
ანონსი: 15 მაისს საგულისხმიერო პროგრამა
მპყრობელი.
დრამა 5 ნაწილათ კარაბანისა, პავლოვისა და ბარანცევიჩის მონაწილეობით კომედია: კარაპუზს ატყვევებდა იტალიელი ქალი.

ელექტრო „ამპირ“ თეატრი
ხუთშაბათიდან, 11 მაისიდან ფრიად საყურადღებო პროგრამა
ბუღალტერი ტორბინი
დრამა 4 ნაწილად გარინოვისა ბარანცევიჩისა, რახმანოვისა და შოლცის მონაწ.
განდიდების მანიით შეპყრობილი კომ. 2 ნაწ. კოროტიშკინის მონაწ.
ყურადღება! ამ დღეებში გაიხსნება თეატრის საზაფხულო განყოფილება!
ანონსი:. 15 მაისისათვის 1917 წ. საგულისხმიერო პროგრამა
შვილო ჩემო სად ხარ შენ?
დრამა 5 ნაწილათ. ბრიდზინსკისა, გლინსკის, შმიდცის და სოლტინიკოვის. მონაწილეობით.
ანტოშა და ცეცხლის მქრობელი. კომედია 2 ნაწილათ.

სატახტო ქალაქის ცირკი ძმ. ეფიმოვებისა.
ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარ სახლში.
შაბათს, 13 მაისს გაიმართება გრანდიოზული წარმოდგენა ეგრეწოდებული
რომის კოლიზეი,
რომელშიაც მონაწილეობას ღებულობს ახლად ჩამოსული გასტროლიორები.
დღეს პირველი გასტროლია მთელ ქვეყანაზე ყველაზე პატარა ქალის
ლიუციას.
დღესვე გამოვა აღმოსავლეთის ცნობილი მსახიობი ბ-ნი ჩიფუ. ამას გარდა მიიღებს მონაწილეობას მფრინავი ხალხი და აგრეთვე სხვა მსახიობი, როგორც ქალები ისე კაცები. დღეს მესამე დღეა კავკასიურ ჭიდაობის. დღეს იჭიდავებს სამი წყვილი: 1. წყვილი: ადგილობრივი მოჭიდავე სერგო ჯაფარიძე, წინაალმდეგ პატარა მეჯვრისხეველისა. 2. წყვილი: თფილისელი მოჭიდავე ალექსანდრე ზაალოვი, წინაალმდეგ გიორგი ჩხარელისა. 3. წყვილი: ჭიდაობის მოყვარეთა გამოწვევა. ადგილობრივი წერილების დამტარებელი გერასიმე ჩოგოვაძე დაეჭიდება ივანე მასხარაშვილს. ჭიდაობის დასაწყისი 11 ნახევარ საათ. წარმოდგენა დაიწყება 9 ნახევარ ს.

კაცობრიობა საუკუნოებით
ელოდა
დიდი ხნის განმავლობაში მსწავლულები, პროფესორები და შინაგან ავადმყოფობათა სპეციალისტები იმის ძიებაში იყვნენ, თუ რა საშუალებით შეიძლებოდა განეკურნათ დაუძლურებულნი, სისხლ ნაკლებნი და ბოლოს იმ დასაკვნამდე მივიდნენ, რომ ბიუხნერის მიერ აღმოჩენილი სექარის სითხე (თესლეულობისა და ცხოველთა ჯირკვლებიდან გამოხდილი) საუკეთესო საშუალებაა ზემო ჩამოთვლილ ავადმყოფობათა წინაალმდეგ და ძალიანაც მოქმედებს მათზე. მთელი კურსი ღირს 32 მან. ნახევარი კურსი—16 მან. მეოთხედი - 8 მან. ეგზავნება ყველას ვინც 5 მან. ბეს გამოგვიგზავნის. წამლისათვის და ცნობებისათვის გთხოვთ მიმართოთ მხოლოდ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებას. თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 16 გან. K—2.

14 მაისს 1917 წ. დღით კვირას, 12 საათზე კლასიკურ გიმნაზიაში მოხთება
არაჩვეულებრივი კრება
საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა კავშირისა.
საგანი:
დელეგატების არჩევა კავშირიდან კავკასიის მასწავლებელთა კავშირის დელეგატია დამფუძნებელ კრებაზე დასასწრებლათ თფილისში.
გამგეობის თავმჯდომარე დ. ჟუკოვი.

## დღეს:

**წერილები:**

ტრ. ჯაფარიძე- რა გვმართებს?
ვალერიან გუნიას.
ი. იმერელი—ცუდი პერსპექტივები.
ლ. ს. ყიფიანი ეპიზოდები რუსეთის დიდი რევოლუციისა.
ქართული პრესა.

**ცნობები:**

ახალი მთავრობა. რევოლუციის ამბები. მსოფლიო ომი. ეროვნული კითხვა. ზავის გარშემო. ქართველები ჯარში. სამრევლო სკოლების მასწავლებელთა საყურადღებოთ. მოწერილი ამბები. რუსეთი. უცხოეთი. ღია წერილი. უკანასკნელი ამბები. ახალი ამბავი.

### მიიღებს პრემიად

ორმოცდა ათ მანეთს, ვინც გადასჭრის შემდეგ საკითხს.

### რიცხვის მცნება

შეიძლება თუ არა განისაზღვროს?
(Опредѣлимо или неопредѣлимо понятіе: число?)
თუ შეიძლება, საჭიროა აღინიშნოს მეცადინეობის მსვლელობა და შემდეგ განსაზღვრულ იქნეს მცნება რიცხვისა. თუ შეუძლებელია რიცხვის განსაზღვრა ავტორმა უნდა დაამტკიცოს.
ამ საკითხის შესახებ პასუხი უნდა დაიბეჭდოს გაზ. „ჩვენს ქვეყანაში“ პირველ ივნისამდის. ჟიურის წევრებად რედაქცია მოიწვევს სპეციალისტებს. რედაქცია

## რა გვმართებს?

საქართველოს ავტონომიის საკითხი მეტათ მომწიფებულია; დღეს არის თუ ხვალ ეს საკითხი დამფუძნებელ კრებას უნდა წარუდგეს დასამტკიცებლათ და დასაკანონებლათ. ეს იმდენათ ცხადი ჭეშმარიტებაა, რომ პირდაპირ ამას ქართველი ერის მტერიც არ უარყოფს.

მართალია, მტრისთვის ეს მეტათ ძნელი მოსანელებელია მაგრამ პირდაპირ წინაალმდეგობა და ცხადათ ხელის შეშლაც მეტათ მოუხერხებელია, ამიტომ მტერმა თურმე სხვა გზა მოსძებნა. რამდენათ საიმედოა ეს გზა, ამას მომავალი დაგვანახვებს, მხოლოდ ჩვენი მოვალეობაა, აღვნიშნოთ მტრის მოქმედება და შესაფერი პასუხიც გავსცეთ. სამწუხაროთ, ზნეობრივი საზომი მტრის მოქმედების დასაფასებლათ არც იხმარება, რადგან ჩვენი მტრების დამახასიათებელი თვისება ყოველთვის ის იყო, რომ იგინი ჩვენს საწინაალმდეგოთ ყოველგვარ საშვალებას ხმარობდნენ.

ავტონომიის განხორციელების საქმე ძლიერ მჭიდროთ დაკავშირებულია საქართველოს ისტორიულ საზღვრების საკითხთან. თავის თავად ცხადია, რომ საქართველოს ტერიტორიული ავტონომია უნდა განხორციელდეს ისტორიულ საზღვრებში. ეს ჭეშმარიტება არ მოსწონს ჩვენს მტერს, რომელიც სარგებლობს შემთხვევით და განაპირა კუთხეებში საფრთხეს გვიმზადებს. მტერი სარგებლობს იმ გარემოებით, რომ ძველი მთავრობის უკუღმართი პოლიტიკის წყალობით საქართველოს განაპირა კუთხეებში ქართულ კულტურას ელფერი დაეკარგა და ჩამოსახლებულ სხვა ელემენტებს ენით, რწმენით და ზნე-ჩვეულებით ადგილობრივ მკვიდრთა ეროვნულ ცხოვრებაზე მავნე გავლენა ჰქონდა.

დღეს, როდესაც საქართველოს განახლების ზარმა დაჰკრა. დღეს, როდესაც საქართველოს განთავისუფლება თვით განთავისუფლებული რუსეთის აუცილებელი ნაბიჯია, მტერი ბნელი ძალებით აღჭურვილი საომრათ დამზადებულა და დღევანდელი ისტორიული აუცილებლობით გამოწვეული მოვლენის წინაალმდეგობა განუზრახავს.

მტრის სათარეშო მიდამოთ გადაქცეულა: **აჭარა აფხაზეთი და სვ ნეთი.**

მტერს გაუმართავს პროვოკაციის მანქანა და საომრათ ბნელი ძალებისთვის ჩაუბარებია. აჭარლებს ჩაჯდომიან გვერდში და ჩასძახიან, თქვენ მაჰმადიანები ხართ და საქართველოს ავტონომიაში გაქრისტიანება მოგელისთ; თუ გინდათ სარწმუნოებაც დაიცვათ და თქვენი თავიც, საქართველოს ჩამოშორდით და თათრებს შეუერთდითო.

აფხაზებს ეუბნებიან, თქვენ აფხაზები ხართ, აფხაზეთი არასოდეს საქართველო არ ყოფილა, მეგრელები მუდამ თქვენი მტრები იყვნენ, დღეს თუ საქართველოს ავტონომია ექნა და თქვენ მის საზღვრებში შედით სრული განადგურება მოგელისთო. პირ იქით, თუ საქართველოს ჩამოშორდებით, მაშინ სახელმწიფოში მეტი ფასი გექნებათ და თქვენ ყოველ მხრივ გაუმჯობესება მოგელისთო. სვანებს ეუბნებიან: თქვენ უწინაც ცალკე იყავით, აწიც ასე უნდა იქნეთ და საკუთარი მართვა-გამგეობა გექნებათ, რომლის წყალობითაც ძლიერ ისარგებლებთო; თუ საქართველოსთან იქნებით, თქვენ ყველაფერი საკუთარი მოგესპობათ და სახელმწიფოც აღარ დაგიფარავსთო.

აი ამ გვარი აზრებით ემუსაიფებიან ჩვენ ძმებს მტრისაგან გამოგზავნილი ბნელი ძალები. აი ამ გვარი საშუალებით უნდა მტერს საქართველოს ტერიტორიას ჩამოსჭრას აჭარა, სამურძაყანო, სოხუმი, გუდაუთი და სვანეთი.

მართალია მტრის გულისწადილი არ ასრულდება, მტრის ბნელ ქადაგებას ყველა არ შეისმენს, მაგრამ დღეს; როდესაც ახალი ცხოვრება უნდა მოვაწყოთ, დღეს როდესაც თვით ავტონომიის საკითხი დასამუშავებელია, ასეთ მოვლენას ანგარიში უნდა გავუწიოთ.

ამ გარემოებამ ძლიერ უნდა დააფიქროს ყველა ჩვენი პოლიტიკური პარტიები. სა უბედუროთ არი თუ საბედნიეროთ, ჩვენში ძლიერ გამწვავებულია პარტიული ბრძოლა. პრინციპიალურათ პარტიული ბრძოლა არც უბედურება და არც სახიფათო. თუ გამწვავება არ იქნა და ამას საზიზღარი ექსცესები არ მოჰყვა, ისე პარტიული ბრძოლა, როგორც ბრძოლა იდეურ მიმდინარეობათა შორის, როცა იქნება ჭეშმარიტებამდი მიგვიყვანს, მაგრამ იქ, სადაც **ეროვნული** ბრძოლაა, **პარტიული** შეუწყნარებელია დღეს, როგორც ზევით აღვნიშნე, აჭარაში აფხაზეთში და სვანეთში გაჩაღებულია **ეროვნული** ბრძოლა. იქ ეროვნების ყოფნა-არ-ყოფნის საკითხია დასმული: მთელი ძალ-ღონე ქართველი მოღვაწისა ამ საკითხის სასარგებლოთ გადაწყვეტას უნდა ემსახურებოდეს აქ პარტიული რწმენის სხვადასხვაობა რა შუაშია? აქ ეროვნული საკითხი პირველ რიგშია ჩამომდგარი, ჯერ ის უნდა გადაწყდეს ჯერ აქ უნდა დამარცხდეს ბნელი ძალა; აქ უნდა დაეკარგოს ნიადაგი ყოველ გვარ ბოროტ თარეშებს და შემდეგ პარტიული მიმდინარეობა თავის თავად გაჩნდება,

ყველა არსებულ პარტიათა მოვალეობაა აღნიშნულ ადგილებში ეროვნულ ბრძოლაში მიიღონ მონაწილეობა და ბნელი ძალა დაამარცხონ.

ყველას მოვალეობაა, საქართველოს შემოხაზულება სავსებით დაიცვას და ისტორიული საზღვრები გაამაგროს. ამ საქმეში ყველანი ერთი უნდა იყვნენ და შემდეგ, რაც შინაგანი მოწესრიგებისთვის დადგება დრო, განსხვავებაც შესაძლებელია და არავითარ ზარალსაც არ მოიტანს.

დავიცვათ სამშობლოს საზღვრები, დავამარცხოთ ბნელი ძალა. აი საერთო მიზანი, აი დღევანდელი საპროგრამო ნაბიჯი. ამას მოითხოვს ეროვნული შეგნება და ამასვე გვიკარნახებს პარტიული ტაკტი.

ტრიფონ ჯაფარიძე.

## ვალერიან გუნიას.

ნეტარ არიან ადამიანები, რომელთაც დაიმსახურეს ერის სიყვარული და მოიხადეს მის წინაშე მოვალეობა.

ქართულ ცხოვრებას დასაწყისიდან მუდამ თავდადებული და განსაკუთრებულ ენერგიის მუშაკნი ეჭირვებოდა. სამოქმედო, სამოღვაწეო ასპარეზი კი ქართულ ცხოვრებაში ისეთი საძნელო იყო და არის, რომ უმეტეს წილად მოღვაწისგან სრულს, ყოველ მხრივ თავგანწირვას მოითხოვდა. ვალერიან გუნია, ეს ის პიროვნებაა, რომელიც გადაგვარების მწ-რე განცდის დღეებში სამშობლოს წინაშე მამულიშვილურ მოვალეობის შესრულებას შეუდგა. იგი არ შეუშინდა ირგვლივ გამეფებულ სიძნელეს. ვ. გუნიამ ქართულ ცხოვრების ყოველ დარგში შეიტანა თავისი წვლილი. ქართველი ხალხი მას ხედავს სცენაზე, იგი სცემს ჟურნალს, გაზეთს, სწორედ იმ კრიტიკულ დროს, როდესაც ქართულ ჟურნალ-გაზეთის წამკითხავი ნაკლები ჰყავს.

იგი გადაგვარების პროცესში მყოფ ხალხში აღვივებს ეროვნულ ცეცხლს, რის ნაყოფიც დღეს დიდია. ვალერიან გუნია მე 90 წლებში მონაწილეობას იღებდა ყოველ ქართულ საქმეში და ყველგან თავდადებულად ეწეოდა შრომას.

დღეს მოხუცების ჟამს მადლიერი ერი მას სალამს უძღვნის. დღეს ქუთაისლები მადლობის დღეს უმართავენ ქართულ ცხოვრების ღირსეულ წევრს და მუშაკს ვალერიან გუნიას.

სალამი ვალერიანს!..

დაე იყოს ხანგრძლივი მისი მოღვაწეობა ჩვენი ერის საკეთილდღეოდ!

## ცუდი პერსპექტივები

საშიში ამბები ხდება. პოლიტიკურმა ტეხამ შებორკილ ცხოვრების ყოველი მხარე აახმაურა და აამოქმედა. სახელმწიფო განიცდის განახლებისა და გახალხოსნების პროცესს. ყოველ დაწყებულებას და მით უმეტეს სახელმწიფოს ამა თუ იმ საფუძველზე გარდაქმნას თავისი უცილობელი კონკრეტული **პირობა** უნდა ახლდეს. პირობა ეს ნიშნავს, თუ როგორ ფორმებში უნდა გამოიხატოს პირველი მუშაობა, რა არის საშიში გარდამავალ ხანაში, უნდა დარაჯობდენ საზოგადოებრივ უზრუნველ ყოფას! ზემოდ მოკლეთ ნათქვამი თუ არ იქნა შეგნებული, და მისი შესრულება სასტიკ მოვალეობად არ დაისახა თითოეულმა მოქალაქემ, მაშინ ქვეყნის გარდაქმნის და განახლების საქმე ბედისანაგარად გაირიყება; დღევანდელი რევოლუცია მთელი ხალხის ძლიერი გამოძახილია. 170 მილიონი სული გამოფხიზებულა და თითოეულ მათგანს გულის სიღრმიდან წამოუსროლია ესა თუ ის სურვილები. აი, ამ ურიცხვ მთხოვნელებს ეჭირვებათ განსაკუთრებული მოქმედების პირობა. ყველა, რომ ადგეს და რაც მოესურვება ის აკეთოს, ეს ანარქიის წინამორბედი იქნება და ქვეყნის განახლებულ შენობის აგება შეუძლებელი გახდებოდა. მაშასადამე, საჭიროა ყველამ ყველგან და ყოველთვის იმოქმედოს საერთოდ მიღებულ და მდგომარეობასთან შეხამებულ გზით.

ჩვენდა ღრმა სამწუხაროდ გაზეთები გადმოგვცემენ მეტად სამწუხარო და დამაღონებელ ფაქტებს. ხალხი აღარ უცდის რევოლუციის განვითარების აუცილებლობას. იგი ზოგან დღესვე მოითხოვს მას, რაც მისთვის ცხოვრებას უკარნახებია.

რუსეთში გლეხობა შესევია შეძლებულ მცხოვრებთ და აუკლია მათი ქონება. ზოგიერთ ქალაქებში მომხდარა „პოგრომები." რომელსაც წმინდა შავრაზმული ხასიათი მისცემია. ამ საშინელ პერსპექტივისაგან არც ჩვენ ქართველები ვართ უზრუნველ ყოფილი. მარტო ქუთაისში და ყვირილა-სამტრედიაში მომხდარი უწესოება დიდათ ჩამაფიქრებელია. ჩვენი ცხოვრების ატმოსფერა გაჟღენთილია პარტიულ საწამლავით. საკმარისია ერთმა უპასუხისმგებლო პიროვნებამ, რაღაც წამოისროლის, რომ ერთმანეთს დავერივნეთ... ერთმანეთი გვძულს და ჩვენი ეს სიძულვილი ხალხშიც გადადის, მასსაც სწამლავს.

რუსეთში „პოგრომებს" ძველი რეჟიმის მოციქულნი იწვევენ, ვსთქვათ ესევე ხდება კავკასიაში. მთელი კავკასიის მცხოვრებნი ამას დიდად უნდა ჩაუკვირდენ.

ხალხში მავნე აღელვების შეტანა დროებითმა მთავრობამ უნდა აკრძალოს, მან უნდა სასტიკად სდევნოს სხვადასხვა პროვოკატორები და ხალხს მოუწოდოს მომენტის შესაფერ მოქმედებისათვის, ხალხის შეგნებული ნაწილიც უნდა ებრძოლოს „ანარქიულ" გამოსვლებს. კავკასიის ერები მოვალენი არიან, სდარაჯობდენ სალ მეზობლურ განწყობილებას. ერებმა უნდა დაჰგმონ ერთმანეთის გალიზიანება და დაბეზღება, უნდა შესდგეს კავკასიის ერთა სამეთვალყურო კომისია, რომელიც განსაჯავს და საერთო თვალსაზრისით განიხილავს ამა თუ იმ მომხდარ მავნე ამბავს. ბოლოს ჩვენ ქართველებს გვმართებს დიდი დაკვირვება.

ხალხის ინტერესებისთვის მიუცილებელია შევქმნათ ერთი საპასუხისმგებლო ორგანო. ეს ორგანო ჩვენს ხალხს მისცემს შესაფერ დარიგებას და პასუხს მოსთხოვს თითოეულ პიროვნებას, თუ პარტიას თავის საზოგადოურ მოქმედებაში.

ეს რომ რუსეთში ჯერჯერობით ვერ შესძლონ, ამას თავის გასამართლებელი მიზეზი ექნება, რადგან რუსეთი მეტად დიდია და მის ყოველ კუთხეში საჩქაროდ არ მოხერხდება საერთო „პირობის" მიღება. რაც შეეხება საქართველოს, აქ რომ ვერ შევსძლოთ, ეს ჩვენი უილაჯობის დამამტკიცებელი იქნება. ჩვენ მოუწოდებთ ქართულ პოლიტიკურ პარტიებს ამ დიად მნიშვნელობის სახალხო კითხვას საჩქაროდ ანგარიში გაუწიოს და მის მიმართ მიუდგომელი უპარტიო და ხალხისთვის საერთო მიუცილებელი განაჩენი გამოიტანოს.

ი. იმერელი.

## ქართული პრესა.

„სახ. ფურც." თავისს მეთაურში (9 მაისი) ეხება მიწის კითხვას და სხვათაშორის სწერს:

არსად ისე დიდი ადგილი არ აქვს თავისებურობას, ადგილობრივ განწყობილების სპეციფიზმს, როგორც სოფლებში...

თვით ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორც საქართველო, აგრარული საკითხი ერთნაირათ უნდა გადაწყდეს ამერეთში, სხვანაირად იმერეთში...

საქართველოში მიწის საქმე უნდა გამორკვეული და გადასწყდეს მხოლოდ საქართველოში, თავის ეროვნულ დამფუძნებელ კრებაზე, რისთვისაც ეროვნული სოციალისტური და დემოკრატიული ჯგუფები თვით გლეხკაცობის საქმეში ჩარევით ეხლავე უნდა შეუდგნენ ამ საქმისათვის მუშაობს."

## ახალი მთავრობა.

### მინისტრების ნათქვამი.

**პეტროგრადი.** 7. მაისის 7. ჟურნალისტებთან ლაპარაკში შრომის მინისტრმა სკობელევმა სთქვა: სამინისტროს მუშაობა სამინისტროს მოწყობით უნდა დაიწყოს, რადგანაც მისი საქმე მხოლოდ რევოლუციის შემდეგ გაჩნდაო. სამინისტროს პირველი მიზანი ის უნდა იყოს, რომ მუშების ბრძოლა ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ძალის ნაკლები დახარჯვით სწარმოებდეს და არც ქვეყნის საწარმოვო ძალა შესუსტდესო. მეორე მიზანი კი წარმოების სხვა და სხვა დარგებში მშრომელთა მიზანშეწყობილი განაწილება უნდა იყოსო. ამ საკითხში შრომის სამინისტროს მოქმედება ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს მოქმედების საზღვრებს უახლოვდება, რადგანაც საეკონომიო პოლიტიკის რეგულიზაციასთან არის დაკავშირებული. კონკრეტი საშუალებანი: იმპერიისთვის საყოველთაო კანონი 8 საათის სამუშაო დღისა და კერძო კი სასოფლო შრომის რეგულიზაციაა. უნდა შეიქმნეს გარანტიები კოალიციის, გაფიცვის და სხვათა სრული თავისუფლებისა: უნდა გაადვილდეს შრომის ბირჟების, შემთანხმებელ კამერების, საპროფესიო კავშირების, და სხვათა დაწესებულებების შექმნა; შრომის ინსპექცია საერთოდ, და ქალთა შრომის ინსპექცია კერძოდ ახალ საფუძველზე უნდა მოეწყოს. ფართო, ყოველმხრივი სასოციალო კანონმდებლობა, მუშათა ყოველგვარი დზღვევა, მეტადრე უმუშევრობის დაზღვევა, შრომის ყველა დარგში; დაუყონებლივ უნდა იქნეს მიღებული ზომები მუშათა ქონებრივი უზრუნველყოფისა იმ შემთხვევაში, საცა კერძო წარმოებანი შეჩერდებიან; შრომის ყოველმხრივი დაცვა, მეტადრე ბავშვთა და ქალთა შრომისა; წარმოების დემობილიზაციის შექმნა, სესხის ახალ ხელშეკრულების შემუშავება და სხვა. ეს პროგრამა სრული არ არის და მუშაობის დროს ბევრი ისეთი საკითხი გაჩნდება, რაც ახალ საშუალებებს მოითხოვსო.

# რევოლუციის ამბები

პ. დ. ს.

## დეპეშები

**პეტროგრადი.** 9 მაისი. პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა კომიტეტმა დაადგინა მოიწვიოს პირველ ივნისს სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა ყრილობა. ყრილობაზე გასაგზავნათ 25000-დან 50000 კაცამდი ირჩევს 2 დელეგატს: 50000-დან 70000-დის 3 დელეგატს. 75000-დან 10000-დის 4 დელ. 10000-დან 150000 5 დელ. 150000-დან 200000-დისა და 200000-ზე მეტი გზავნის 8 დელეგატს.

### დეზერტირები.

**ყაზანი.** 8 მაისი. საპოლკო კომისიამ გამოაცხადა რომ თავის დროზე არ გამოცხადებულ დეზერტირებს ერთმევათ უფლება არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა.

### ვილსონის განცხადება.

**ვაშინგტონი.** 6 მაისი. ვილსონმა გამოსცა ფურცლები, სადაც ნათქვამია: მთელი ხალხი შეიარაღებულია, და ისინი ვინც ზურგს უკან დარჩენ შეადგენენ ჯარის ნაწილს. ჩვენ ყველანი უნდა შევერთდეთ. ომს უნდა მოვახმაროთ მთელი ძალ-ღონე. მთელი ხალხი უნდა შევიდეს მეომართა შემადგენლობაში საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. სამშობლო საჭიროებს თავისი შვილების დახმარებას.

სახელმწიფო დეპარტამენტის თათბირზე, რომელსაც დაესწრენ ბალფური და ლენსინგი ირკვეოდა სასურსათო კითხვა. გამოირკვა რომ ჰოლანდიიდან, სკანდინავიიდან, შვეიცარიიდან, და ისპანეთიდან უნდა მოხერხებულის გზით შემოტანილ იქნას სურსათი.

### გლეხთა ყრილობა.

**ხარკოვი.** 6 მაისი. საგუბერნიო გლეხთა ყრილობაზე დაადგინეს: ფედერატიულ-დემოკრატიული რესპუბლიკის აუცილებლობა და უკრაინის ეროვნულ ტერიტორიულ ავტონომიის აღდგენა.

### უწესოება.

**კიევი.** 7 მაისი. სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზის მოსამსახურეებმა თხოვნით მიმართეს აღმასრულებელ კომიტეტს მიიღონ ზომები ჯარისკაცთა წინააღმდეგ, რომელნიც უწესოებას ახდენენ, არ ერიდებიან ძალადობასა და მკვლელობას; შეაქვთ ანარქია რკინის გზის მუშაობის საქმეში. მუშათა და სამხედრო დეპუტატებმა განიხილეს შუამდგომლობა რკინის გზის მოსამსახურეთა და დაადგინეს. გაგზავნონ დამცველი რაზმი, რომელიც წინააღუდგება ყოველგვარ ჩადენილ უწესოებათ სამხედრო დეპუტატების ხელმძღვანელობით. მათ მიენდობათ მატარებელში კონტროლობა და დეზერტირების დაჭერის საქმე. აგრეთვე მიღებულ იქნება ზომები არ ირღვეოდეს სარკინისგზო წესები.

### სესხი

**სიმბირსკი.** 6 მაისი. ქალაქის საკრედიტო დაწესებულებათაგან თავისუფალ სესხათ გადადებულ იქნა 2840250 მ.

### ცეცხლი.

**ენისეისკი.** 3 მაისი. სამი კვირაა რაც ცეცხლი მძინვარებს. გადაიწვა, რამდენიმე სახლი.

### მოსწავლეთა კავშირი.

**როგაჩევი.** 6 მაისი. მაზრის ყველა სასწავლებლის მოსწავლეთა ყრილობა დასრულდა. მონაწილეობას იღებდა 400 დელეგატი. დაარსეს კავშირი. რომლის მიზანიც უნდა იყოს გლეხებში მუშაობა დამფუძნებელ კრებისათვის მოსამზადებლად.

### მასწავლებელთა ყრილობა.

**ხარკოვი.** 5 მაისი. ამ მოკლე დროში მოწვეულ იქნება ყველა სასწავლებელთა დელეგატების ყრილობა. მოელიან 100 დელეგატს.

### სოც. რევ. კონფერენცია.

**კიევი.** 7 მაისი. გაიხსნა სოც. რევოლ. კონფერენცია. მრავალი ქალაქიდან ჩამოვიდენ დელეგატები.

### გლეხთა ყრილობა.

**კასტრომა.** 7 მაისი. გაიხსნა საგუბერნიო გლეხთა ყრილობა. ყრილობას დაესწრო 400 დელეგატი.

### გაფიცვა.

**ლონდონი.** 6 მაისი. სამექანიკო მუშების გაფიცვა შეწყვეტილია. დღეს საღამოს პრემიერ მინისტრის თათბირზე მდგომარეობა გამოირკვევა ამის შესახებ.

### ძარცვა.

**დონის როსტოვი..** 7 მაისი. ღამით შეიარაღებული მძარცველები თავს დაესხნენ სავზო დარაჯს დარაჯი მოჰკლეს; ცოლს ნაჯახით თავი გაუხეთქეს, დასჭრეს ქალიშვილი. წაიღეს 100 მან. და მიიმალენ.

## მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

## დეპეშები.

### დასავლეთის ასპარეზი.

**ლონდონი.** 7 მაისი. ოფიციალი. დღისით გერმანელების არტილერია ძლიერად მოქმედებდა ეპეგის ჩრდილო-აღმოსავლეთითა და მდ. სკარპის ორივე ნაპირზე. ასპარეზის დანარჩენს ადგილებში საყურადღებო არაფერია.

**ლონდონი.** 7 მაისი. ოფიციალი. გუზოვერის ჩრდილო-დასავლეთით მოვახდინეთ მტერზე თავდასხმა. წამოვიყვანეთ ტყვეები. ხელთ ვიგდეთ ტყვიის მფრქვეველები.

მტრის თავდასხმები ლოოსის აღმოსავლეთით არმანტერის ჩრდილო აღმოსავლეთითა და მდ. იპრის მიდამოებით მოვიგერიეთ.

**პარიზი.** 6 მაისი. აღმოსავლეთის ასპარეზზე სამხედრო ოპერაციები სწარმოებს.

**ლონდონი.** 8 მაისი. ოფიციალი. ღამით მტერი სცდილობდა, მოულოდნელად თავს დაგვსხმოდა არტილერიის საშუალებით მტერი შევაჩერეთ. ფეკისერის მახლობლად ტყვეები წამოვიყვანეთ.

**ლონდონი.** 7 მაისი. ოფიციალი. ჩვენ გავმაგრდით ახალს პოზიციებზე ჰინდერბურგის ხაზით 1600 მეტრის სიგრძეზე. მტერი რამდენჯერმე შეეცადა ხვენზე იერიშები მოეტანა, მაგრამ ამაოდ. დღის განმავლობაში სასტიკი ბრძოლა გრძელდებოდა. ბრძოლის დროს მტერმა დიდი ზარალი ნახა. ოპპის სამხრეთ-დასავლეთით მტრის რაზმები შევავიწროვეთ.

**პარიზი.** 6 მაისი. შმენდადემის ახლო მახლობლად მდებარე ადგილებში საარტილერიო ბრძოლაა.

**ჰავრი.** 6 მაისი. ბელგიის ასპარეზზე საარტილერიო მოქმედებაა.

**პეტროგრადი,** 7 მაისი. ოფიციალი. შმენდედამის მიდამოებში საარტილერიო ბრძოლა [illegible] გრძელდება. გათენებისას მთელ [illegible] ხაზზე მტრის ცდა [illegible] წინ წამოწეულ ადგილზე იერიშის მოტანისა მოგერებულ იქნა. მცირე მოქმედებამ წისქვილ ლაფიოს ჩრდილო-დასავლეთით შეგვაძლებინა სანგართა რამოდენიმე ნაწილის დაპყრობა. შამპანში მენილეირლიუს ჩრდილოეთით მტრის ორი მოულოდნელი თავდასხმა უნაყოფოდ დამთავრდა. ფრონტის დანარჩენ ადგილებში საყურადღებო არაფერი მომხდარა.

**პარიზი,** 6 მაისი. ოფიციალი. ღამის 11 საათზე კოზელ-იურტებივის ხაზზე კალიფორნიის მაღლობზე საარტილერიო ბრძოლაა. დანარჩენ ფრონტზე სროლაა დღემდე.

**პეტროგრადი.** 10 მაისი. ოფიციალი. მტრის რაზმი ერთი როტის შემადგენლობით ვოგუშის რაიონში დაბა კროვოს ჩრდილო-აღმოსავლეთით სცდილობდა ჩვენს სანგრებთან მოსვლას, მაგრამ ცეცხლით გავფანტეთ.

### აღმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 9 და 10 მაისი. ოფიციალი. აღმოსავლეთისა და რუმინეთის ასპარეზზე სროლაა.

### კავკასიის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 9 მაისი. ოფიციალი. ქურთები სცდილობდენ იერიშით აეღოთ ჩვენი საფრები ერძინჯანის სამხრეთით, მაგრამ გავფანტეთ. ოსმალთა და ქურთთა ორი როტა ჩვენს მოწინავე პოზიციებს თავს დაესხნენ ბითლისის ჩრდილოეთით. თავდასხმა მოვიგერიეთ.

**პეტროგრადი.** 8 მაისი. ოფიციალი. ოსმალების ერთი როტა რამდენჯერმე შეეცადა არდესის დასავლეთით თავს დასხმოდენ ჩვენს ჯარს. თავდასხმა მოვიგერიეთ. ბანის სამხრეთით ოსმალების ცხენოსანი ჯარი ბანიდან 14 ვერსის დაშორებით შეეცადა ჩვენს თხრილებს დაახლოვებოდა, მაგრამ უკუვაქციეთ.

**პეტროგრადი.** 10 მაისი. სპარსეთში. ქურთები ჩვენს ბანაკებსა და პოსტებზე თავდასხმას განაგრძობენ.

### ბალკანეთის ასპარეზი.

**სალუნი.** 7 მაისი. ოფიციალი. მტერი სცდილობდა ჩვენზე იერიშები მოეტანა. ცდამ უნაყოფოდ ჩაუარათ. მდ. სტრუმის მახლობლად მტერი დავაზარალეთ.

5 მაისს სტრუმისავე მახლობლად, ბულგარელებმა საარტილერიო მომზადების შემდეგ ჩვენზე იერიშები მოიტანეს ჩვენ მიერ ახლად დაკავებულ პოზიციებზე. მტრის იერიშები მოვიგერიეთ. მტრის თავდასხმა პრესნის ტბის მახლობლად უშედეგო აღმოჩნდა.

ლუმნიცის მიდამოებში ჩვენ დავიკავეთ კიდევ მტრის ერთი თხრილი.

### იტალიის ასპარეზი.

**რომი.** 7 მაისი. ოფიციალი. გორიცას ჩრდილოეთით ჩვენი პოზიციები გავაფართოვეთ. რადიჩის მახლობლად ძლიერი

## ეპიზოდები რუსეთის დიდი რევოლუციისა.

(გაგრძელებად პირველი ფელეტონისა, იხილეთ მე 17 № „ჩვენი ქვ.")

მე მსურს მკითხველს მოვუთხრო რამოდენიმე, რუსეთის რევოლუციის დამახასიათებელი ეპიზოდი, რომელთაც ადგილი ქონდათ რუსეთის სატახტო ქალაქ პეტროგრადში ამ დიდ მოძრაობის დროს იმისთანა მომენტში, როგორიც იყო პეტროგრადში იმ დროს, ყველაფერი საინტერესოა და ადამიანს გინდა ყველაფერი დაიხსომო, მაგრამ ყველა უბრალო ფაქტები, ერთად აღებული ისეთი ვრცელი რამ არის, რომ შესაძლებელია მხოლოდ იმის დახსომება, რამაც მაყურებელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

I.

როგორც მკითხველს მოეხსენება, პეტროგრადში რევოლუციამდი საშინელი ხორცის კრიზისი იყო: გირვანქა 1 მ. 50 კაპ. ღირდა, თუ იყო, და ასეთი დღეებიც, იშვიათად გამოერეოდა ხოლმე.

28 თებერვალს დილის 12 საათზე ზაბალკანის, ზაგოროდნი და ვლადიმერის პროსპექტზე, ქართული ანდაზით რომ ვსთქვათ, ნემსი არ დაიკარგებოდა. ორანიენბაუმიდან, პეტერგოფიდან, კრონშტადტიდან და კრასნოე-სელოდან ჯარი ჩამოსულიყო. ასეთი შემთხვევა ასეთი მოძრაობის დროს არავის გაუკვირდებოდა. მაგრამ ქუჩებზე აქეთ იქით გამწკრივებულ ჯარს რომ შუაში გაყინული ხორცით სავსე დროგები ჩაეყენებია ეს კი ძალიან გამიკვირდა და იქავე მყოფ მოდარაჯე ჯარის კაცს შევეკითხე.

— მეგობარო, საიდან ხართ თქვენა, ან ეს ხორცი საიდან არის — მეთქი.

— ჩვენ ორანიენბაუმიდანა ვართ; ეს ხორცი კი ჩვენთვის თავგანწირულ მამებისაგან დაგროვილი გახლდათ თავიანთი ჯიბეების გასავსებათო — მიპასუხა სიცილით გულუბრყვილო ჯარის-კაცმა რომელსაც ეტყობოდა, უკვე გაეგო, თუ როგორ ზრუნავდენ არმიისათვის და მუშა ხალხისათვის შტიურმერები, პროტოპოპოვები და სხვა მათი თანამშრომლები და თავისი ინტერესების დასაცავად თითონვე აელო ხელთ იარაღი.

ჩვენს ლაპარაკში სხვებიც ჩაერიენ, ყველა ერთსა და იმავეს გაიძახოდა, ყველა ერთი აზრით აღჭურვილი იყო და ერთი მეორეს სიხარულით ეუბნებოდა: ხედავთ, რას ნიშნავს რევოლუცია?! პეტროგრადში ხალხი სიმშილით კვდებოდა და ეხლა კი ხორციც თავსაყრელიაო! კიდევ ბევრს გაიგონებდით აქ, მაგრამ ხმა გავარდა ნევის პროსპექტზე საყურადღებო ამბები ხდება და მეც იქით გავეშურე.

2.

მშვენიერი იყო ნევის პროსპექტი შუადღის პირველ საათზე, თუმცა ტერმომეტრი 20 გრადუს აჩვენებდა, მაგრამ მაისის დღე გეგონებოდათ, რადგანაც ამდენხალხში სიარულის დროს, გცხელოდათ კიდეც, ხალხს აღელვება ეტყობოდა და გასაკვირალიც არ იყო, რადგან ფარაონებს (პოლიციელებს ჯერ კიდევ ქონდათ ძალა და პროტოპოპოვი კიდევ დაუჭერელი იყო. აქა-იქ სროლის ხმაც ისმოდა, მაგრამ ხალხის ყურადღებას ასეთი სროლა ვერ იქცევდა. გაზეთის დამტარებლები უკვე გაჰკიოდენ: „პეტროგრადის აღმასრულებელი კომიტეტი და მისი შემადგენლობაო." მრავალრიცხოვანი ბრბო ტოკავდა და თითქმის ერთად, ეროხმად ხმამაღლა კითხულობდა როძიანკოს მოწოდებას; მთელი ნევის პროსპექტი აზვირთებულ ზღვას მოგაგონებდათ.

ავტომობილები შუა ქუჩაში დაქროლავდენ წითელი ჯვრის ნიშნებით, ამ ავტომობილებით. გოსპიტლებისაკენ მიაქროლებდენ თავისუფლებისათვის თავგანწირულ მებრძოლთ, დაჭრილებს და დახოცილებს. უცბად ნევის პროსპექტზე ხალხი შუა გაიყო და ვაშას ძახილით მიეგება ჯავშნიან ავტომობილს, რომელიც მშვენიერ სანახაობას წარმოადგენდა: მასზე ფრიალებდა წითელი, სისხლის ფერი დროშა ზედ წარწერით „გაუმარჯოს თავისუფლებასო" და გვერდებზე კი ტყვიის მფრქვეველთა ლულები, ყვავილებით გარშემორტყმული იყვენ. ხალხის აღტაცებას საზღვარი არ ქონდა. ავტომობილი გაჩერდა ბალის ქუჩისა და ნევის პროსპექტის ჯვარედინზე, სადაც მთელს რუსეთში ცნობილი სახალხო სამკითხველოა. ამ დროს ჩემთან ერთი ოფიცერი მოვიდა და მითხრა: ამ მოვლენას რაღაც პროვოკაციული ხასიათი უნდა ქონდეს ჩემის აზრით ეს ავტომობილი ხალხის არ უნდა იყვესო. ამ სიტყვების გათავებაც ვერ მოასწრო ოფიცერმა, რომ ერთბაშათ იგრიალა ავტომობილიდან ტყვიის მფრქვევლებმა, და ჩვენც ჩემი მოსაუბრე ოფიცრიანათ აზრდაბნეულ ხალხის ზვირთმა სადღაც გაგვიტანა. საშინელი სროლა დააყრუა ხალხის გულშემზარავმა კვნესამ და დაჭრილთა ღრიალმა; ასტყდა საშინელი აურ-ზაური. ეს ერთად ერთი მომენტი იყო პეტროგრადში, როდესაც მართლა ბევრი სისხლი დაიღვარა. როდესაც ავტომობილი ხალხმა ხელთ იგდო, ბევრ გულშემზარავ ამბავს გაიგონებდით.

დაჭრილები ამბობდენ: ჯარის კაცები იმდენათ აალელვა ასეთმა ვერაგულმა საქციელმა, რომ ისინი ექვსი-შვიდი ნაბიჯის სიშორიდან ხელით სასროლი ყუმბარებს ავტომობილის ჯავშანს ესროდენ და იმასაც აღარ დარდობდენ, თუ მათი ნასროლი ყუმბარა, ამ პატარა სივრცეზე, მათვე აafეთქებდათო. ბოლოს ავტომობილი ხალხმა ხელთ იგდო და შიგ მჯდომი პოლიციელები ლინჩის სამართლით გაასამართლა. წაბილწულ იქმნა პოლიციელებისაგან აგრეთვე რუსეთის მეცნიერების ტაძარი, სახალხო-სამკითხველო, საიდანაც მათი ტყვიის მფრქვევლები სიკვდილს სთესდენ აზვირთებულ, აღფრთოვანებულ ხალხში, მაგრამ მითაც მოიპოვეს სამარადისო ძილი იმ შენობაში, რომელიც მათგანვე შეურაცხყოფილ იქნა.

3.

ზნამენის ქუჩაზე ხალხის მომხრე რევოლუციურ ვოლინის პოლკის ერთ როტას ბარრიკადები გაეკეთებია და პოლიციელებს ებრძოდა; მის დასამშვიდებლათ გაგზავნილ იქნა ერთი როტა სემიონოვის გვარდიის პოლკისა; ამ როტას მეთაურობდა სათადარიგო ჯარის პრაპორშჩიკი, შუა ხნის კაცი. დადგა მომენტი, როდესაც ეს ორი როტა დაუპირდაპირდა ერთმანეთს სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა: მხოლოდ შორიდან მოისმოდა ხალხის მოღალატეთა ტყვიის მფრქვეველების რაკრაკი. ძმამ ძმის მოსაკლავათ თოფი მოიმარჯვა. ამ დროს მოხუცი პრაპორჩიკი შუაში გამოვიდა და შემდეგი სიტყვებით მიმართა ორივე მხარეს:

არტილერიის ცეცხლით მტერს უკან დავახევიეთ. გორიცას აღმოსავლეთით ჩვენი ჯარი შეიჭრა მტრის მოწინავე თხრილებში. მტერმა დიდი ზარალი ნახა. წამოვიყვანეთ 254 ტყვე. მათს რიცხვში 4 ოფიცერია.

**რომი.** 6 მაისი. ოფიციალი. იულის ალპების ასპარეზზე მოხდა მოულოდნელი შეტაკება. ჩვენმა ჯარმა დაიკავა სიმაღლე 652. მტერი გამაგრდა მონტესტატოს ჩრდილოეთით. მტრის წინააღმდეგობა შევაჩერეთ ჩვენ წინ წავიწიეთ და ამოვსწყვიტეთ მტერი თხრილებში. ჩვენი ქვეითი ჯარი მთის ქედით გამაგრდა ახალს პოზიციებზე. წამოვიყვანეთ 379 ტყვე. მათს რიცხვში 16 ოფიცერია. კუკოსა და ვოდიჩის მთებს შუა ბრძოლა ჩვენდა სასარგებლოდ დამთავრდა. ჩვენმა ჯარმა დაიბრუნა მდ. იზონცოს მარჯვენა ნაპირის ადგილები, გრაცილიის სამხრეთით.

**მფრინავთა მოქმედება.**

**ლონდონი.** 7 მაისი ოფიციალი. გუშინ საჰაერო ბრძოლის დროს ჩვენმა მფრინავებმა ჩამოაგდეს გერმანელების რამდენიმე ჰაეროპლანი. არტილერიის ცეცხლით გავანადგურეთ გერმანელების ორი მზვერავი ბუშტი.

**სოლუნი.** 7 მაისი. ოფიციალი. ჩვენმა საზღვაო ჰაეროპლანებმა ყუმბარები ჩამოყარეს.

---

✦ ქუთაისის ეროვნულ დემოკრატ სტუნდენტთა წრის კომისია ამით აუწყებს ამხანაგებს, რომ ოთხშაბათს 17 მაისს გაიმართება ეროვნულ-დემოკრატ (განურჩევლად სქესისა) სტუდენტთა კრება, რომელიც მოხდება საადგილ-მამულო ბანკის შენობაში საღამოს 6 საათზე. ვსთხოვთ პროვინციაში მყოფ ამხანაგებსაც აუცილებლივ დაესწრონ.

ქუთ. ერ. დემ. სტუდ. წრის კომისია

## ახალი ამბავი.

✦ **ქართველი სენატორები.** სენატის წევრებად დაუნიშნავთ ზ. ავალიშვილი, სიდ. ერისთავი და ლ. ანდრონიკაშვილი.

✦ **ლაზარეთის საქმე.** აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა ქუთაისში ლაზარეთი. მხოლოდ იმ პირობით გაიხნას, თუ ლაზარეთს მიეცემა ბინა სასწავლებლებში და ოლქის სასამართლოს შენობაში. გარდა ამისა ლაზარეთს უნდა მიეცეს სუბსიდია ხაზინიდან, ლაზარეთისთვის აუცილებელი ნივთები დაინიშნება ექიმთა პერსონალით.

✦ **ბ-ნი იდია ჩიქოვანი.** სთხოვს გუბერნიის და მაზრის კომისარებს, შეატყობინონ აღმასრულებელ კომიტეტს, იმ პირთა სია რომელთა დათხოვნაც აქვს დადგენილი ხსენებულ კომისარებს.

✦ კომისარი აკაკი ჩხენკელი ქუთ. აღმ. კომიტეტს ატყობინებს, რომ მას შეატყობინონ სრული ცნობები ადგილობრივ მდგომარეობის შესახებ. აკაკი ჩხენკელი ითხოვს, რომ ყველა უწესოებანი, რომელიც კი გუბერნიაში მოხდება საჩქაროდ ეცნობოს მას, რათა სათანადო ზომები მიიღონ.

✦ ბ-მა გრ. ურატაძემ აღმასრულებელ კომიტეტში კითხვა აღძრა, გამოიკვლიონ, თუ რა მდგომარეობაშია არჩევნების საქმე სოფლად, მოჰყავთ თუ არა სისრულეში ახალი საარჩევნო კანონი და თუ არა, წინადადება მიეცეს სოფლის აღმ. კომიტეტებს, დაუყოვნებლივ მოახდინოს არჩევნები.

✦ **შაქრის გატანის აკრძალვა.** ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი საჯაროთ აცხადებს, რომ ქუთაისიდან შაქრის ნება დაურთველად გატანა სასტიკად აკრძალულია.

✦ **ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი** ამით განმეორებით აცხადებს, რომ ქუთაისიდან ნება დაურთველათ **შაქრის გატანა** რაოდენობის მიუხედავათ **აკრძალულია.** ამ განკარგულების დამრღვევი, გარდა იმისა, რომ მას უსასყიდლოთ წაერთმევა შაქარი, რომლის გაგზანასაც ის დააპირებს, პასუხის გებაში იქნება მიცემული სისხლის სამართლის 22 მუხ. ძალით.

✦ ამ ბოლო ხანს ქუთაისში საგრძნობლად აციავდა ეს ორი დღეა განუწყვეტლივ სწვიმს.

✦ 10 მაისს არქიელის მთაზე უეცრად გარდაიცვალა სენაკის მაზ. მცხოვრები გეგენავა.

✦ **სასურსათო კომიტეტის** ცნობით ამ ჟამად შაქარი ქუთაისში საკმაოდ არის.

✦ **პური** ქალაქში საყოფი არ იშოვება. მეპურეთ ყოველთვის არა აქვთ გასაყიდი პური. რადგან გამოირკვა, რომ პურის ნაკლებობა თვითონ მეპურეთაგან არის ხელოვნურად გამოწვეული, ამიტომ საჭიროა ამ კითხვას შესაფერი ყურადღება მიექცეს.

✦ გამოვიდა ქართ. სოციალ-დემოკრატ. ავტონომისტების ორგანო „ალიონი"ს მორიგი ნუმერი.

✦ ბ-ნმა გრ. ურატაძემ აღმასრულებელ კომიტეტში შეკითხვა შეიტანა რუსეთის ქვეშერდომ იმ ოსმალთა შესახებ, რომელნიც თბილისში შეიპყრეს და ქუთაისში სატუსაღო ციხეში გამოგზავნეს. ოსმალთ ბრალდებათ ბათომის ოლქში შემოჭრილ ოსმალეთის ჯარის დახმარება. ამ ჟამად დატუსაღებული ოსმალები ითხოვენ გამოარკვიონ მათი მდგომარეობა და შეატყობინონ, თუ რა მოელით მას. გრ. ურატაძე აღმასრულებელ კომიტეტს სთხოვს, ციხეში მყოფი ოსმალები საქმის გამოძიებამდე გაათავისუფლონ და თავ თავის სოფლებში დააბრუნონ. აღმასრულებელმა კომიტეტმა ეს წინადადება მიიღო.

✦ ბ-ნი გობეჩია აღმასრულებელ კომიტეტს შეეკითხა, რა განკარგულების დასაბუთებით დაატუსაღეს ზუგდიდის მაზრის თავად აზნაურთა წინამძღოლი ნ. დადიანი. აღმასრ. კომიტ. გობეჩიას აცნობა, რომ მას დადიანის დასატუსაღებლად არავითარი განკარგულება არ მიუცია.

✦ **ზუგდიდის კომისარი** სთხოვს ქუთ. აღმ. კომიტეტს დანიშნულ იქმნას ზუგდიდის მაზრაში ხარკის ამკრეფი ინსპექტორი.

✦ **ბაქოს ფედერალისტებისაგან** აღმას. კომიტეტს ქუთაისში მომხდარ უწესოების და ფედერალისტთა საბჭოს დარბევის გამო საპროტესტო დეპეშა მოუვიდა.

✦ **მუშათა და ჯარის კაცთა საბჭომ** დაადგინა ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგად არჩეულ იქმნას სასამართლოს წევრი ს. მიქელაძე მხოლოდ მის ადგილას დაინიშნოს ნაფიცი ვექილი ქორქაშვილი.

— მუშათა და ჯარის კაცთა საბჭომ საჭიროდ სცნო სასამართლო დაწესებულებათა უწყებამ გამოაქვეყნოს იმ პირთა სია რომელთა სამსახურიდან დათხოვნაც გადასწყვიტა ახალმა მთავრობამ.

✦ წელს ქუთაისის წმ. ნინოს სახელობის სასწავლებელში 7 კლასი დაასრულეს და მოწმობა მიიღეს შემდეგმა პირებმა; აბაშიძე ეკატერინე, ადამია ნინო, ალტუნოვი ტერეზა, ბელკინი ანა (ოქროს მედლით), გაჩეჩილაძე ვერა, გვინჩიძე ელენე, დათებაშვილი მარიამ, დოლიძე მარიამ ებანოიძე ელენე, თუთაშვილი ვერა, კაკაბაძე ვერა, კანდელაკი ელისაბედი, კანდელაკი ნადეჟდა, კედია ეკატერინე, კრასოვსკი ოლღა, ლიხაჩევი ვერა (ვერცხლის მედლით), ლიხაჩევი მარიამ, ლორთქიფანიძე ალექსანდრა, მარხევკა პერელ, მაჰვარიანი ელენე, მესხი თამარ, მიქაბერიძე მარიამ, მოდებაძე ნინო, ნაზაროვი თამარ, ნაკაშიძე მარიამ, ნიკოლაძე ეკატერინე, ნიჟარაძე ლიუბა, ქლენტი ფოტინე რევინი ტასო, საკანდელიძე მარიამ, სვანაძე ელენე (ოქროს მედლით), სემიონოვი ალექსანდრა, სობრიევსკი ტატიანა, ტერ გაბრელიანცი შუშანიკა, ტერ-ეგიასაროვი სირანუშ, ფიჩხაძე სარა, ქელბაქიანი ვენერა, ლოლობერიძე ლიდია, შარაპატოვი ვერა (ვერცხლის მედლით), შნეიდერი ნინო (ვერცხლის მედლით), ჩარუხჩიანცი არშანუშ, ჩაჩავა ნინო, ჩაჩიბაია ბარბალე (ოქროს მედლით), ცაგურია თამარ, ცხაკაია ქსენია, წერეთელი ელენე, წერეთელი ოლღა, წივწივაძე თამარ, წულუკიძე მარგარიტა, ჭეიშვილი ნინო, ჭიჭინაძე ანა, ხაზარაძე ეკატერინე, ხაცავა მარიამ, ხეჩინოვი ოლღა (ვერცხლის მედლით), ხოჯევანიშვილი თამარ, ჯანუაშვილი ელენე ჯინორიძე ოლიმპიადა,

— 8 კლასის მოწმობა მიიღეს შემდეგმა პირებმა: აბაშიძე ნიმფოდორე, ანდრიანოვი მარიამ, ბაქრაძე ვერა, გალუსტოვი ანა, გვარამი მარიამ, დგებუაძე სოფიო დიდია ქსენია, დოლინსკი ვალერიანა, ვიაზოვსკი ნადეჟდა, თაქთაქიშვილი თამარ, ირუშკინი ვალენტინა, იურკევსკი რიმა, კანდელაკი მამიკა, კოლჩინი ევგენია, კომეტიანი ქეთევან, კუპრაშვილი თამარ, მურადოვი სოფიო, მღებროვი ანა, ნარსი ოლღა, ნიკოლაევი ეკატერინე, ნიჟარაძე კლავდია, ოკუჯავა მარიამ, პეტროვი ალექსანდრა, რომანოვსკი მარიამ, საყვარელიძე მარიამ, სულაკაძე თამირ, ქამაროვ მარიამ, ქებაძე ვერა, ყიფიანი მარგარიტა წერეთელი თამარ, გედ. ასული, წერეთელი თამირ იოს. ასული, წულუკიძე ქეთევან.

## უკანასკნელი ამბები.

სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების ყრილობა დანიშნულია 1 ივნისისათვის.

**მოწოდება ჯარისკაცთა ექსცესების გამო.**

რკინის გზებზე ჯარის-კაცთა მიერ ჩადენილ უზნეო საქციელის გამო, პეტროგრადის მუშათა საბჭომ მოწოდება გამოუშვა, რომელშიც ამბობს:

კაცს გული გიკვდება, როდესაც ასეთ უზნეობას გაიგებ. მოქალაქენი ჯარის კაცთაგან ელიან დაფარვას და შველას ხოლო ჯარის კაცნი კი თავიანთი უაზრო გამოსვლებით მცხოვრებლებში ნდობას ჰკარგავს და მით ავნებენ, როგორც რევოლუციას ისე თავისუფლებას.

**ყაჩაღობა.**

ტულის გუბერნიაში 300 შეიარაღებული კაცი შეესია მახლობელ სოფლებს და აიკლო. გაძარცვეს 30 მემამულე ზარალი რამდენიმე ათ მილიონს უდრის.

**ვაჭარ-მრეწველთა ყრილობა.**

1 ივნისს მოხდება სრულიად რუსეთის ვაჭარ მრეწველთა ყრილობა.

**სამხედრო სკოლები.**

სამხედრო უწყებაში კითხვა აღიძრა შემცირდეს სამხედრო ცოლების რიცხვი, რადგან ახლო მომავალში ომის ლიკვიდაცია არის მოსალოდნელი.

## ეროვნული კითხვა.

**უკრაინა.**

პეტროგრადში ამ დღეებში დაარსდა უკრაინულ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენელთა — უკრაინული ნაციონალი საბჭო. იგი შესდგება 5 კაცისაგან და მინდობილი აქვს დროებით მთავრობასთან ერთად უკრაინის საქმეების მოწესრიგება.

კომიტეტმა დროებით მთავრობას თხოვნით მიჰმართა, რათა კვლავ განახლებულ იქმნეს ადგილობრივი ადმინისტრაცია, დაინიშნოს კომისარებად და სამოსწავლო ოლქის მზრუნველად ისეთი პირნი, რომელნიც ადგილობრივ ცხოვრების პირობებს, ენას და ეკონომიურ—სოციალ—ნაციონალურ პირობებს იცნობენ. კომიტეტი საჭიროდ ჰსცნობს, რომ უკრაინის საზოგადოების წარმომადგენლები მონაწილეობას იღებდნენ დროებით მთავრობის მიერ დამფუძნებელ კომისიებში, საზოგადო ხასიათის კითხვების გამოსარკვევად, აგრეთვე იმ კომისიაში, რომელმაც დამფუძნებელ კრების საარჩევნო კანონი უნდა შეადგინოს.

**სომეხთა ნაციონალური ყრილობა.**

საპარტიათაშორისო კრებამ, რომელსაც სომეხთა პირველ ყრილობის ორგანიზაცია ჰქონდა მინდობილი, „მშაკის" სიტყვით შემდეგი პროგრამა შეიმუშავა: ათი-ათასი მცხოვრები ერთს დელეგატს ირჩევს. რადგანაც რუსეთის სომხობა 1. 800· 000-ა ამისთვის დელეგატიც 180—200 იქნება.

თვითეულ მაზრაში თუ ამომრჩეველ ოლქში ამომრჩევლობითი კომისია ანუ საბჭონი დაარსდება (ყველა წარმომადგენელი თანასწორად), ამ საბჭოებმა თავის ოლქებში სწორე და სამართლიანი არჩევნები უნდა მოახდინონ. სრულიად რუსეთის სომეხთა დელეგატების ამორჩევა თიბათვის 18-ს მოჰხდება, ხოლო ყრილობის დაწყებას მკათათვის 2 აპირებენ. რაც შეეხება ყრილობის ადგილს, მართალია ამასწინად თბილისში მომხდარ კრებამ საქმის აწონდაწონის შემდეგ უპირატესობა ქ. თბილისს მიანიჭა. საბჭო შეეკითხება აგრეთვე სხვადასხვა ქალაქებს, რის შემდეგაც საკითხი სრულიად გადაწყდება.

**უკრაინის ავტონომია.**

ყველა ფრონტზე, ზურგის და ფლოტის უკრაინელ მეომართა დელეგატების კრებამ, რომელიც წარმომადგენელი არის 900,000 ჯარის კაცისა, მოითხოვა, დროებითი მთავრობისა და მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოსაგან, რომ განსაკუთრებულის აქტით დაუყოვნებლივ იქნეს გამოცხადებული უკრაინის ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის პრინციპი და დაინიშნოს დროებით მთავრობასთან მინისტრი უკრაინის საქმეებისათვის.

**უკრაინული ჯარები.**

[illegible] კიდევ შესდგა ცხენოსან არტილერისტთა, ტყვიის მსროლელთა და [illegible] ნა საჰაეროპლანო და საავტომობილო ნაწილებისა. უკრაინელ ჯართა ლოზუნგია: ომი გამარჯვებამდის უკრაინის დროშის ქვეშ.

ასეთი პოლკების დაარსების საწინააღმდეგო რეზოლუციები გამოიტანა დიდი კამათის შემდეგ მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატებას საბჭოი კიევში.

**პირველდაწყებითი შკოლის ნაციონალიზაცია.**

ფინეთს სენატი ამზადებს პროექტს პირველდაწყებითი სასწავლებლის ნაციონალიზაციისას.

## ქართველები ჯარში

**„სახალხო ფურცლიდან"**

ჩვენ, მეოთხე დრუჟინის ქართველი თანამშრომლები, სულითა და გულით ვეგებებით მრავალ-ტანჯული ერის მოპოვებულ თავისუფლებას. ვულოცავთ საქართველოს განახლების გზაზე დადგომას. ძველი რეჟიმის ყალბ მართველობის დამხობით, რომლის ნანგრევებზე აღმობრწყინდა მზე თავისუფლებისა; სამუდამოდ განხორციელდება სურვილი ქართველი ერისა.. ღრმად გვწამს, რომ დღეიდან ქართველ ერი გამოჰედს ბრწყინვალე მომავალს და სამუდამოდ ვაფანტავს ყოველ სიბნელეს!

გაუმარჯოს დიდ რევოლუციას, გაუმარჯოს თავისუფალ რუსეთში თავისუფალ საქართველოს.

**მონდობილობით უკდება.**

ქ. ერზრუმში 23 აპრილს

ამ დღეებში პეტროგრადის დეპეშათა სააგენტომ რუსულ გაზეთებს ტფილისიდან ცნობა მოაწოდა, რომ ტფილისის მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი კონტრრევოლუციურ აქტათ ნათლავს საქართველოს ეროვნული ინტერესების დამცველ პარტიათა მოქმედებას. სხვათა შორის დაუდგენია ქართველ მეომართა კავშირის დათხოვნა. გვაკვირვებს საბჭოსაგან მოქალაქობრივი უფლების ასეთი უხერხულობა, რომელიც ძველი რეჟიმის აგენტთა პოლიტიკას გვაგონებს პროტოპოპოვ-შტიურმერებიც გაიძახოდნენ, რომ გარეშე მათთა არა არას ხსნა სულითა და გულით მივესალმებით საქართველოს ეროვნული ინტერესების დამცველთ განურჩევლად მიმართულებისა. აგრეთვე სალამს ვუძღვნით ამხანაგ ქართველ მეომართა კავშირს და ნიშნად ჩვენი მათდამი თანაგრძნობისა ვთხოვთ ქართველ მეომართ თუ მოსახერხებელია მიგვიღონ ჩვენც თავიანთ კავშირის წევრად. ვფიქრობთ, რომ კარგი იქნებოდა თუ ამ კავშირში ჩაეწერებიან ყველა ქართველი მეომარნი, სადაც კი უნდა იყვნენ ე. ი. არა მარტო კავკასიის ფრონტი, არამედ სხვა ფრონტებიც.

ქ. სარატოვში მდგომი მე 4 ტყვიის მტყორცნელი სათადარიგო პოლკისა ექი-

---

— ამხანაგებო, ძმებო და შვილებო, დღეს მე შევიქენი ბედნიერი და შემიძლიან ვთქვა, რომ დღევანდელი დღე ჩემთვის სიცოცხლეზე უტკბესია. დღეს ვხედავ მე ერთის მხრივ ხალხისათვის თავდადებულ მეომრებს, და მეორეს მხრივ კი ჯერ კიდევ მეფის მსახურთ, რომლებსაც იქნებ სრულიადაც არ სურთ მეფეს ემსახურონ, მაგრამ ვერ სტეხენ ფიცს, რომელიც ღვთისათვის მიუციათ. მაგრამ მე მსურს დავუმტკიცო ჩემს ამხანაგებს, რომ ფიცის გატეხა ადვილია ერთი ადამიანისათვის ერთი-გზით მხოლოდ. ხალხისათვის კი ფიცი არ არსებობს, ხალხი არავის არ უნდა ემორჩილებოდეს, ხალხი უნდა იყოს თავისუფალი და არა დამონავებული. მეგობრებო, მე ბევრი მიცხოვრია და ბევრი სიმწარეც გამომივლია, მაგრამ ჩემი ცხოვრების ყველა სიმწარე დაჩრდილა ამ დიადმა ხალხის სიხარულმა. მე ნაბრძანები მქონდა, ძმა ძმის წინააღმდეგ მიმესია, ძმა ძმისათვის მომეკვლევინებია, მაგრამ ეს მე არ შემიძლია ჩავიდინო, შემიძლია ვუღალატო ჩემს მცნებას ზნეობრივ კანონს; მეორეს მხრივ კი მე ვარ დაფიცებული და ამის ასრულება ნაბრძანები მაქვს. ასეთ საშინელ მდგომარეობიდან გამოსასვლელი გზა მე უკვე ვპოვე. ამხანაგებო, მშვიდობით! ნება მომეცით, უკანასკნელი სიტყვით გამარჯვება ვუსურვო რუსეთის თავისუფალ ხალხს. გაუმარჯოს თავისუფლებას! ამ სიტყვებთან ერთად, მოხუცმა ოფიცერმა გულში ტყვია დაიხალა და იქვე სული განუტევა. ერთი საათის წინათ მოსისხლეთ გამზადილი მტრები, ამ სანახაობით აღტყინებულნი, უეცრად, თითქო გარდიქმნენ, ქუდები მოიხადეს დამიცვალებული გადაჯვარედინებულ თოფებზე დასდეს, საუკუნო ხსენება უგალობეს და მერმე კი მგრგვინავი მარსელიეზით ნევის პროსპექტისაკენ წაასვენეს პატიოსანი მსხვერპლი რევოლუციისა.

4.

ხალხის მოძრაობა დაწყებული იყო, რევოლუცია ღვივდებოდა და ძველი მთავრობისაგან, ხალხის სატანჯავათ, აგებული ციხის კედლები ცეცხლის ალში გახვეულიყო. პეტრე-პავლეს ციხე კი ჯერ კიდევ ხელუხლებელი იყო. ეს გახლდათ 28 თებერვალს საღამოთი. თითქმის მთელი ჯარი თავრიდის სასახლესაკენ მიეშურებოდა. კამენოოსტროვის პროსპექტზე უაფიცრებოთ პეტროგრადის გვარდიის პოლკი მოდიოდა. მას ხალხში შეიარაღებული საბარგო ავტომობილი შეხვდა წითელი დროშით; ავტომობილზე ისხდენ სტუდენტები; ერთი მათგანი, საექიმო აკადემიის სტუდენტი (როგორც გადმოგვცეს, ქართველი უნდა ყოფილიყო), გადმოხტა ავტომობილიდან და მქუხარე ხმით ხალხი შეაჩერა: ,,ამხანაგებო! დღეს ბედნიერი დღეა ჩვენთვის, დიდი ხნის მონობაში მყოფ, ეხლა განთავისუფლებული ხალხისთვის.

პეტროგრადი გაბრწყინვებულია ცეცხლით, რომელშიც იწვიან ძველი მთავრობისაგან, მართალი ხალხის დასაჩაგრავათ, აგებული ციხეები. ხელთ იგდო ხალხმა არსენალი, დაეცა ცარსკოე-სელო, დაეცა სასახლე. დავსცეთ ესეც პეტრე-პავლეს ციხე, ეს უკანასკნელი დარაჯი და ბურჯი ძველი მთავრობისა, დავსცეთ იგი და გავანთავისუფლოთ დატყვევებულნი თავისუფლების მებრძოლნი; წინ ამხანაგებო, მომყევით მე, ვიბრძოლოთ უკანასკნელი სისხლის წვეთამდის და ბრძოლაში მოვიპოვოთ ჩვენი უფლებები''.

იგრიალა ჯარმა და ხალხმა და 15 წამში ხელთ იგდო უკანასკნელი ბურჯი ძველი მთავრობისა, რომლის დაობებულ კედლებში არა ერთსა და ორ, მოწინავე პირს დაულევია მწარე დღე მწარე ცხოვრებისა.

5.

ბელოოზერის ქუჩაზე პოლიციის შენობა დასწვეს და, როდესაც ხალხმა ქაღალდებს გარჩევა დაუწყო, ერთმა ყმაწვილმა ნახა საქმე დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის შესახებ, სადაც მას ბრალად ედებოდა 905-ის მოძრაობაში ,,ფარულ მონაწილეობის მიღება''. ამ ამბავმა ხალხი ისე აღაფრთოვანა, რომ უცბათ მანიფესტაცია გაიმართა.

6.

ანიჩკის ხიდთან, სადაც დედოფლის სასახლეა, ხალხს იმპერატორის ღერბები, ორთავიანი არწივები ჩამოეგლიჯათ, შუა ქუჩაზე ცეცხლი დაენთოთ და ცეცხლთან თბებოდენ. ამ დროს, როგორც დამსწრე ახალგაზდები ამბობდენ, ამ ჯგუფთან მივიდა ცნობილი რუსის იუმორისტი-არკადი ავერჩენკო და შემდეგი ლექსით მიმართა მათ:

,,ხელსაც ათბობს, კუჰსაც აძლობს
მეფის არწივთა გუნდები,
სალამი შენ, მიწის მუშავ,
თუ ძველს არ დაუბრუნდები!

* * *

პირი პირს მივსცეთ, ხელი ხელს,
ვათავისუფლოთ მონები;
მომავალ თაობისათვის
საქმე ვქნათ მოსაგონები.

ამ სიტყვებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე და ავერჩენკოს ოვაციები გაუმართეს. ასეთი ეპიზოდები პეტროგრადში უთვალავი იყო რევოლუციის დროს. აღსრულდა რუსეთის ხალხთა ნანატრი მოლოდინი. რუსეთი განთავისუფლდა და თავისუფლად ამოისუნთქეს მის ხელქვეით მყოფმა ერებმაც.

ყველა ამაების შემხედვარე ქართველს ეს სიტყვები მომადგა პირს:

აღსრულდა! მორჩა მონობას
რუსეთი დიდი, ძლიერი;
ეკვეთა ძველსა მთავრობას
ხალხი დიდი ხნის მშიერი.

* * *

გასწყვიტეს ჯაჭვი მონობის,
განთავისუფლდენ ერები.
საქართველოშიც აყვავდენ
კუთხენი მშვენიერები!

* * *

თავისუფლების სიმღერა
მაღლით მერცხალმა დაგვძახა,
მაგრამ ერთმანეთს ვეკვეთეთ,
რისთვისაც ყველამ დაგვძრახა.

* * *

ქართველო, ნუ გავიწყდება,
რომ შენ ქართვლისა შვილი ხარ.
თუ შენს სამშობლოს არ იცავ,
მაშ დედას რისთვის უზდიხარ?

* * *

იბრძოლე მედგრათ მტერთანა,
ნუ მისდევ უეცთ რჩევასა.
თვისი სამშობლოს ორგული
მოიხვეჭს ხალხის წყევასა.

**ლევან ს. ყიფიანი.**

მი ნიკოლოზ ბეჟანის ძე ბეჟუაშვილი, პოდ პორუჩიკი, კონსტანტინე გაფრინდაშვილი პრაპორ. აკეფსიმე შენგელია.

## სამრევლო სკოლების მასწავლებლებთა საყურადღებოთ.

როგორც გამოცხადებული გვქონდა, 11 მაისს მოხდა სამრევლო სკოლების მასწავლებელთა კრება სათავად აზნაურო გიმნაზიაში, რომელსაც მიზნათ ჰქონდა დასახული გარჩევა შემდეგი კითხვებისა: მას წავლებლების მოწვევა სოფლიდან, კრების მოწვევის დროს აღნიშვნა, საბჭოს გადაყენება, კომისარების, კომიტეტების, საეპარქიო მეთვალყურის და მოლარის ე. ი. ყველა ახალი პირების არჩევა. მაგრამ რაკი ცოტა შევიქენით და სოფლიდან ვერ მოასწრეს ჩამოსვლა, უმცირესობა ვერ იმოქმედებდა უმრავლესობის დაუკითხავათ, ამიტომ კრება გადაიდო ამა თვის მომავალ 25 მაისისთვის, რასაც დიდი აღტაცებით უნდა მოველოდეთ ჩვენ ამ ფრიად სასიამოვნო დღეს. ვსთხოვთ იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლის ყველა მასწავლებელთ, დაესწრონ ზემო აღნიშნულ კრებას საკითხების გასარჩევათ.

ამასთანავე ვაცხადებთ მასწავლებელთა საყურადღებოთ, რომ ამ კრებაზე დასასწრებათ ჩამოსული მასწავლებლები მიიღებენ მაისის ჯამაგირს აქვე და არა ფოსტით, როგორც წინეთ ვღებულობდით მ. ვ. დოლაბერიძისაგან (იმ შემთხვევაში თუ კრედიტი იქნა გახსნილი.) კიდევ ვიმეორებთ, რომ ამ ჩვენ მოწოდებას და ჩვენთვის დიდ მნიშვნელოვან საქმისთვის ყველა ჩამობრძანდეს, როგორც მამაკაცები ისე ქალებიც. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ კრებაზე იქნება მოლაპარაკება იმის შესახებ, თუ როდის უნდა მოეწყოს ქ. ქუთაისში ჩვენთვის კურსები...

**მასწ. ევგრაფი ასათიანი.**

## მოწერილი ამბები

### აღმასრულებელი კომიტეტის არჩევნები.

**ჩხარის საზოგადოება** (შორაპნის მაზრა). მაისის 7 ჩხარის საზოგადოებაში მოხდა დროებით აღმასრულებელ სასოფლო კომიტეტის წევრების არჩევნები. კრება გახსნა შორაპნის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის თავჯდომარემ გრ. საყვარელიძემ. კრების ხელმძღვანელათ ხალხმა ერთხმათ აირჩია პრ. დევიძე. აქ იყვენ ყველა პარტიის წარმომადგენლები. სანამდის კრება გაიხსნებოდა, ყველა პარტიის რწმუნებულებმა გამართეს წინასწარი მოლაპარიკება, რათა წარედგინათ ხალხისათვის შეთანხმებული კანდიდატების სია. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენელნი არ იყვენ თანახმა ასეთი სიის შემუშავებისა, ვინაიდან იქ არ შედიოდენ თვით ხალხის მიერ დასახელებული პირნი: უმეტესობას შეადგენდა სომხობა. ეს სია წაკითხულ იქმნა ხალხის წინაშე. როგორც მოსალოდნელი იყო, კრებამ ეს სია არ მიიღო და სასტიკი პროტესტი განაცხადა. დიდი აურ-ზაურის შემდეგ ხალხმა თითონ დაასახელა თავისი კანდიდატები (სომხების რიცხვი ხალხის მიერ წამოყენებულ კანდიდატების სიაში საგრძნობლათ შემცირდა.)

შემდეგ დაიწყო ფარული კენჭის ყრა. პირველად ხალხს ძალიან ეუცხოვა ფარულათ ხმის მიცემა, მაგრამ ხანგრძლივი განმარტების შემდეგ როგორც იქნა დათანხმდა. კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდენ ქალებიც.

კენჭის ყრის შემდგომ კომიტეტის წევრებათ არჩეულად აღმოჩნდა 9 კაცი და 3 მათი კანდიდატი.

**ლე—კი.**

**თერჯოლის საზოგადოება** (შორაპნის მაზრა). 8 მაისს მოხდა მრავალ-რიცხოვანი კრება თერჯოლის საზოგადოებისა, რომელშიც შედის შემდეგი სოფლები: თვითონ თერჯოლა, ღვანკითი, რუფოთი, მნუხარელა, სიქთარუა და ტელეფა. ასარჩევი იყო აღმასრულებელი კომიტეტის ახალი ოთხ-ფორმულიანი კენჭის ყრით. სანამდის კრება დაიწყებოდა სხვა და სხვა პარტიის წარმომადგენელნი ხალხს უხსნიდენ ფარული კენჭის ყრით არჩევის მნიშვნელობა-უპირატესობას, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ უმრავლესობას ძლიერ აშინებდა ეს ფარული კენჭის ყრა და გაიძახოდა: „დასაფარავი რა გვაქვსო" ხალხმა არ მიიღო პარტიების მიერ შემუშავებული სია მოითხოვა, რომ კანდიდატები თითონ დაესახელებია. მართლაც დაიყვენ სოფლებათ და ცოტა ხნის თათბირის შემდეგ წარმოადგინეს კანდიდატების სია თავიანთი სოფლებისა. ასარჩევი იყო სულ 15 კომიტეტის წევრი და სამი კანდიდატი. ვინაიდან დიდხანს გაგრძელდა არჩევნები პარტიის წარმომადგენლებს არ ულაპარაკნიათ. კრება გვიან დასრულდა და აღმასრულებელ კომიტეტის წევრებათ არჩეული აღმოჩნდა 15 კაცი და 3 კანდიდატი.

**ივერიკო.**

## რუსეთი.

### გრედესკული კაკი წერეთლის შესახებ.

პროფ. გრედესკული გაზ. „რუსკაია ვოლიას" ფურცლებზე მოგვითხრობს თავის შთაბეჭდილებებს, რომელიც განიცადა 27 აპრილს სახელმწიფო სათათბიროს საზეიმო სხდომაზე. კ. წერეთლის შესახებ ავტორი ამბობს: შულგინის სიტყვის შემდეგ წერეთელი—„კეთილშობილი წერეთელი—ესოდენ ცნობილი თავისი გამოსვლებით მეორე სათათბიროში, პირდაპირ მოსწყდა თავისს ადგილს და თითქმის ხტუნვით ტრიბუნას მიაშურა. დიდი ოვაციების შემდეგ რომელიც მას გაუმართეს, წერეთელმა წარმოსთქვა თავისი ჩვეულებრივი, მჭერმეტყველურ გარეგნობას მოკლებული სიტყვა, რომელიც უზომოდ იზიდავს მსმენელს თავისისი „კეთილშობილებით" — კეთილშობილებით აზრისა, კეთილშობილებით მისი გამოთქმისა. ქართველი თავიდან ფეხამდე, საყვარელ ქართული აქცენტით ის კვალ დაკვალ უპასუხებდა შულგინს, მხოლოდ ხანდახან მოიმარჯვებდა ისარს, საერთოთ კი, არა თუ არ აძლიერებდა, არამედ აცხრობდა თავისს იერიშს შულგინის წინააღმდეგ. ამას მან ხაზი გაუსვა მეტადრე მაშინ, როცა სთქვა, შულგინს „სასულელეს" ან „ღალატს" კი არ ვწამებ, არამედ მხოლოდ კლასობრივ „ვიწროობასო."

შემდეგ ავტორი ეხება გუჩკოვისა, სკობელევისა და როდიჩევის სიტყვებს და აკეთებს რა საერთო დასკვნას, დასძენს: „რუსეთის ხსნისათვის როძიანკო არ არის მზად, არ არის მზად მთავრობა, არ არის მზად ნაბაკოვი და ბინავერი, არ არის მზად შულგინი და გუჩკოვი, არ არის მზად სკობელევი და როდიჩევი. შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ ეს ასეთი აზრი გამოვიტანე, რომ ამისთვის ყველაზე უფრო წერეთელია მომზადებული.

როძიანკო ვერ მოშორებია ძველ პსიხოლოგიას; თავ. ლვოვი—ნებივრობს; ნაბოკოვი და ვინავერი—ჭკუს ატანებენ ძალას და მჭერმეტყველებენ; შულგინი—მეტად გესლიანია; გუჩკოვი—მეტად მკაცრია; სკობელევი—მეტად უპასუხისმგებლო; როდიჩევი—მეტად ვნებიანი. და მხოლოდ წერეთელია შეურყევლად კეთილშობილი.

მის სახეს თვალს ვერ ვაშორებდი. იგი მუდამ შეპყრობილია მოუშორებელი ფიქრით, იგი მუდამ იკრებს თვის ენერგიას. იგი გატაცებულია თვისი ამოცანით და გატაცებულია როგორც პასუხის მგებელი მოქალაქე, როგორც კეთილშობილი კაცი".

### მუშათა დეპუტატების საბჭოში.

მუშათა დეპუტატების საბჭოში სკობელევმა წინადადება შეიტანა, რომ სოციალისტების სამინისტროში შესვლას დასტური მიეცეს. ჩხეიძე კითხულობს პროექტს რეზოლიუციისას, რომელიც ახალ მთავრობას სრულ ნდობას უცხადებს. ამის წინააღმდეგ გამოდიან ბოლშევიკები და ანარხისტ-კომუნისტები. სკობელევი, ჩერნოვი და წერეთელი მხურვალედ იცავენ პოზიციას კოალიციურ სამინისტროს შესახებ. რეზოლუცია დიდის უმრავლესობით მიიღეს.

### ჩერნოვი გლეხთა ყრილობაზე.

ჩერნოვს გლეხთა ყრილობაზე გლეხებმა რამოდენიმე კითხვით მიმართეს. ჰკითხეს: რატომაა, რომ ახალ სამინისტროში 6 სოციალისტი და 8 ბურჟუა არისო? ჩერნოვმა მიუგო: „ჩვენ არა გვაქვს იმისი რწმენა, რომ სახელმწიფოში სოციალისტები უმეტესობას შეადგენენ. ხალხის ნამდვილ ნებისყოფას მხოლოდ დამფუძნებელ კრებაზე დავინახავთო. ჩერნოვს ჰკითხეს: რა საჭიროა ეხლა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები, განა მთავრობა საკმარისი არ არისო! ჩერნოვმა უპასუხა: საბჭოების მიზანია მასათა ორგანიზაცია; დამფუძნებელ კრებაზე გამოირკვევა, ვისა აქვს მეტი ძალაო.

### გლეხობა ზავის შესახებ.

მინსკში 28 აპრილს გლეხთა კრებაზე შემდეგი რეზოლუცია გამოიტანეს: „ზავის ჩამოგდება აუცილებელი საჭიროებაა ყველა ქვეყნის მშრომელი მასისათვის.

მტკიცე ზავი უნდა შეიკრას იმნაირ პირობებით, რომლებიც არ შეურაცხყოფს არც ერთ ერს. იმ ადგილების მცხოვრებლებს, სადაც ეხლა ომია, ნება ეძლევა თვისი პოლიტიკური ბედი თვით გადასწყვიტოს. ძალით შემოერთება რომელიმე ხალხისა და კონტრიბუცია შეუწყნარებელია. სანამ რუსეთში მცხოვრებ ხალხთა თავისუფლების დამხობას უქადის რომელიმე ტლანქი ძალა, ომი უნდა გაგრძელდეს შეურყეველი ენერგიით.

### „წითელი გვარდია"

პეტროგრადის მუშებმა შეიმუშავეს პროექტი „წითელ გვარდიის" ორგანიზაციისა. მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების აღმასრულებელ კომიტეტის ბიურომ, განიხილა რა პროექტი „წითელ გვარდიის" შექმნისა, უდროოთ იცნო და უარჰყო.

### კვლავ „შავი წერტილი".

როგორც სატახტო გაზეთები გადმოგვცემენ, კერენსკისა და ჩხეიძისა გარდა მუქარის წერილები მიუღია აგრეთვე წერეთელსაც.

მუშათა ორგანიზაციებიდან და სხვადასხვა ჯარისკაცთა პოლკების ნაწილებიდან წერეთელს წერილები მოსდის, რომლებიც უცხადებენ რა თავისს ნდობას, სიტყვას აძლევენ, რომ უკანასკნელ წუთამდი დაიცავენ რევოლუციის მეთაურებს სხვადასხვა ბოროტ პირთა თავდასხმისაგან.

## უცხოეთი

### ინგლისელი სოციალისტების აზრი სტოკჰოლმის კონფერენციაზე

**ლონდონი.** 30 აპრილი. სოციალისტურ პარტიის თავმჯდომარე ხაინდმანი შემდეგსა სწერს გაზეთ „ფორვერცში": „სტოკჰოლმის ხაფანგის" სათაურით მოთავსებულ წერილში.

სტოკჰოლმის კონფერენცია გერმანელ სოციალისტების ინიციატივით დაგებული ხაფანგია. ამ საქმეს უთუოდ გერმანიის მთავრობის აგენტი სოციალისტები, შეიდმანი და ბერგი მეთაურობენ, ერთი მუჭა ჰოლანდიელ დელეგატების შემწეობით უნდათ მთელი ქვეყნის სოციალისტები გერმანიის ანკესზე წამოაგონ: ზავის ჩამოგდება დააჩქარებინონ.

### ვანდერველდეს ინტერვიუ.

**სტოკჰოლმი.** 1 მაისი. გაზეთ სოციალდემოკრატის" თანამშრომლებთან საუბარში ვანდერველდემ განაცხადა: მე წინააღმდეგი არა ვარ ბერნშტეინთან, კაუცკისთან და ლიბკნეხტთან შეხვედრისა, ხოლო რაიცა შეეხება დანარჩენ გერმანელ სოციალისტებს, შემდეგის მოსაზრებით არ შემიძლია მათ გამოველაპარაკო: უწინარეს ყოვლისა მე არ შემიძლია ისეთ სოციალისტებთან ვიმოქმედო, რომელნიც ვილჰელმთან ერთად მუშაობენ ხელიხელ ჩაკიდებულიო.

## ღია წერილი.

### ქუთაისის მესამე ქალაქის დაწყებითი შკოლის მასწავლებელ ქალს მარიამ დამბაშიძის ასულს.

ქ. ბ. მარიამ! ქართველ მასწავლებელთა კრებაზე, 29 მარტს, როცა კრება შეუდგა გამგეობაში ასარჩევ კანდიდატების დასახელებას ბარათებით, თქვენ თურმე დიდი შრომა მიგიღიათ, რომ გაგეშავებიეთ იმ პირთა წინაშე, რომელთაც ჩემი კანდიდატურის წამოყენება მოუსურვებიათ გამგეობაში. თქვენის სიტყვით. მე ვიყავი ის პირი, რომელიც ბ. ვიშნევსკის ვითომდა ხელს ვუწყობდი მასწავლებლებისაგან ქრთამების აღებაში. თუმცა ასეთ აგიტაციას თქვენ კრებაზე ეწეოდით არა საჯაროდ, არამედ, თვისებისამებრ თქვენისა, ჩუმად, მალულად, მაგრამ დროზე გავიგე და ის იყო კრებას მოვახსენე ასეთი უსაფუძვლო ბრალდება და ვსთხოვე, მას, კომისია აერჩია საქმის გამოსაძიებლად, რაც მიღებულ იქნა კრების მიერ. თქვენდა და უფრო იმ პირთა სამარცხვინოდ, რომლებმაც, როგორც გაცდენთილებმა პირადის ანგარიშებით ჩემთან, თქვენი უსაფუძვლო სიტყვები ჩემს შესახებ ფაქტებად მიიღეს და მოინდომეს ჩემი უდანაშაულოდ გაშავება, ამ საქმისთვის არჩეულმა კომისიამ მიცნო ვიშნევსკის არა ქომაგად, არამედ ერთ-ერთ მის მებრძოლ პირათ.

თუმცა თქვენ მიერ გავრცელებულმა ჭორებმა ვის რა უნდა დააკლოს, ან თქვენმა ქება დიდებამ ვის რა უნდა შემატოს, მაგრამ, ვიღებ რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ თქვენ შეიძლება შემდეგშიაც მოინდომოთ, უდანაშაულო ადამიანებს ჩირქი მოსცხოთ, თუ რასაკვირველია ყოველი თქვენი ასეთი საქციელი გაუკიცხავად შეგრჩათ, საჭიროდ მიმაჩნია, პასუხი მოგთხოვოთ შემდეგ კითხვებში:

1. ზემო მოყვანილ თქვენს საქციელს, ჩემს წინააღმდეგ მომართულს რა ედო სარჩულად: პრინციპი თუ რამე პირადი ანგარიში. (მეორე შემთხვევაში საჭიროა თავი იცნათ დამნაშავედ.)

2. თუ მხოლოდ პრინციპით ხელმძღვანელობდით ჩემს გაშავებაში, მითხარით, ღვთის გულისათვის, რად არ დაემორჩილეთ კრების დადგენილებას და წერილობით არ შეიტანეთ ბრალდებანი ჩემს წინააღმდეგ დანიშნულ დრომდი ბ. დიტო უზნაძესთან. ესეც მითხარით, ასეთ შემთხვევებში, როდესაც ზოგიერთი პირები, თქვენის ღრმა რწმენით, სიყალბეს სჩადიან, თქვენ პრინციპიალურად გამოდიხართ ყველა მათ დასაგმობად, თუ მხოლოდ მარტო ჩემზე ხმარობთ ასეთ პრინციპს?

3. ვინ იყვნენ ის პირები, რომელნიც, როგორც თქვენვე მითხარით იმავე კრებაზე თეატრში, მთელი ათი წლის განმავლობაში ვითომ ცუდ ცნობებს გაძლევდნენ ჩემზე?

4. თუ დამისახელებთ ასეთ პირებს, ისიც აღიარეთ, ქ. ბ. მარიამ, შეუძლიან თუ არა დასაწყის შკოლაში იმასწავლებლონ ისეთმა პირებმა, რომელნიც სხვისგან გაგონილ ჭორებს შეუმოწმებლად ნამდვილ ფაქტებად იღებენ, როგორც თქვენ ამას სჩადიხართ?

უმორჩილესად გთხოვთ, ქ. ბ. მარიამ, ზემო მოყვანილ კითხვებზე მიპასუხოთ ამის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები პრესის საშვალებით გიწოდოთ ის სახელი, რომელიც თქვენისთანებს შეეფერება.

**ანტონ ოდიშარია.**

12 მაისი. ქ. ქუთაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორ გამომცემელი
დ. ბ. ქმირკელიძე.


## ექიმები:

**ვ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606" და „914") დილით $12^1/2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

**მასაჟისა და სახის სამკ. კაბინეტი მარიამ ტ. ბალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, ამასთან ვუცრი ყვავილსაც **ახლად მიღებულ დეტრიტით** და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერტლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფები მიიღებიან დილის 9—2 და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი ბ. კოსტავას სახლი № 17.


## რკინისგზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 8 ს. | წ. |
| „ | — საღამ. | 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის — | 1 ს. | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. 50 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 11 ს. — | „ |
| „ | — ღამის | —11 ს. 34 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს — | 7 ს. 5 | „ |
| „ | — დილის — | 7 ს. | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 4 ს. | „ |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 8 ს. 40 | „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 5 ს. 20 | „ |


ვისაც სურს სამუდამოთ განთავისუფლდეს ქარებისაგან (რევმატიზმისაგან) და ყოველგვარ კანის ავათმყოფობისაგან ურჩევთ მიაშუროს ძმ. წულუკიძეების

**გოგირდის აბანოს**

**ს. ბუგეულსრაჭის მაზრაშიდ, რომლის მუშაობა**

განახლდა

პირველ აპრილიდან. აბანოსთან არის სუფთა ოთახები ავათმყოფებისათვის და სუფთა თეთრი ქვის ვანები; იქვე იშოვება ყოველგვარი სანოვაგე მიმსვლელ ავათმყოფებისთვის.

აბანოს გამგე **ივანე სოხაძე.**

**რუსეთის დიდი რევოლუციის სახსოვრად**

ყოველ თავისუფალ მოქალაქის ბინაზე, განურჩეევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა უნდა მოიპოვებოდეს 11 ახალი მთავრობის სახალხო მინისტრების სურათები

1) მანეთად და 75 კაპ. გაგეგზავნება 11 მინისტრთაგან შემდგარი ჯგუფის სურათი დიდი ფორმატის 2) მ. 75 კაპ. 6 დიდი პორტრეტი: როძიანკოსი, ლვოვის, გუჩკოვისა, კერენსკის და ჩხეიძის—ამასთანავე რუსეთის რევოლიუციის დიდედის ბრეშკო-ბრეშკოვსკაიას სურათი, 3) 5 მ. 50 კაპ. მიიღებთ ორ სენსაციურ წიგნს: ა) „გრიშკა რასპუტინი". ბ) რომანოვთა სახლის საიდუმლოებანი. 4) სამარცხვინო გამჟღავნება, რომელშიაც მოთავსებულია შემდეგი სურათები: 1) გრაფინა ალპატიევა ეხვევა რასპუტინს, 2) ქალბატონი კორობოვისა და რასპუტინი, 3) რასპუტინი უმაღლეს წრეების პატიოსან ქალებში, 4) რასპუტინის მოკვლა თ. იუსუპოვის სახლში და სხვ ფული უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით Издательство „Бюро Печати" Москва, Тихвинскій пер., № 7 кв. 21—Д.

ვინც წინათვე სულ მთლად წიგნების ფას გამოგზავნის იგი გაგზავნის ხარჯს არ იხდის. ფასი შეიძლება გამოიგზავნოს მარკებითაც შეკვეთილი წერილითა, უბეშოთ არავის არ ეგზავნება ზემოხსენებული წიგნები და პორტრეტები იგზავნება ფას-დაკლებით და გზის ხარჯით ფირმაზე ვინც გამოგზავნის წინათვე 9 მან. 75 კაპ. ვინც 25 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს მას მიეცემა 30 პროცენტის დაკლებით. შეკვეთა და ფულის გაგზავნა შეიძლება შემდეგი მისამართით: Москва Бюро Печати Тихвинскій пер. № 7 кв. 21